ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№41. 41252373**

თარიღი:**25/08/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟირების კონკურსის გამოცხადების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 84 [1] და 84 [2] - მუხლების, ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს სტაჟირების კონკურსი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში თანდართულ №1 დანართის შესაბამისად.

2. სტაჟირების კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით უზრუნველყოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა (ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა) - ნონა ქამადაძემ.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ.N247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი,4100 შ.რუსთაველის ქ. №243 , ტელ: 0413 27 60 60, 27 50 16
ელ-ფოსტა: SAKREBULO.SENAKI@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI-SAKREBULO.GOV.GE

დანართიN1

პოზიცია, რომელზედაც სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ცხადდება სტაჟირება

N	დასახელება	სტაჟიორთა რაოდენობა	სტაჟირების ვადა (თვე)	სტაჟორის ანაზღაურება (ლარი)
1	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	3	438